

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის ანგარიში

## შესავალი

2022-23 სასწავლო წელი კოვიდპანდემიის შემდგომ აუდიტორიებში დაბრუნების წელი იყო. არა დისტანციურ, არამედ კონტაქტურ რეჟიმში, რასაც მივესალმებით. სასწავლო წელი დაიწყო ყველა იმ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედებით, რომელიც უნივერსიტეტს აქვს.

რაც შეეხება სიახლეებს და პრიორიტეტებს, გამოიკვეთა, რომ 2022-23 წლის პრიორიტეტი იქნება განსაკუთრებული ყურადღება კვლევებისა და მეცნიერებისადმი. ეს არ არის შემთხვევითი და შევცდებით ავხსნათ, რატომ გამოიკვეთა ეს პრიორიტეტი.

## კვლევა და ინტერნაციონალიზაცია

პირველი და უმთავრესი მიზეზი გახლავთ ის, რომ უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობა პირდაპირ უკავშირდება სადოქტორო პროგრამების განხორციელებას. სექტემბერ-ოქტომბერში დასრულდა უმნიშვნელოვანესი პროცესი სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის. ეს არის სადოქტორო პროგრამები – ვეტერინარიისა და ასტრონომიის მიმართულებით. უნდა აღვნიშნო, რომ ასტრონომიის მიმართულებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკვე აქვს ორი აკრედიტებული სადოქტორო პროგრამა. ერთი ქართულენოვანია და მეორე ინგლისურენოვანი. უნივერსიტეტმა, როდესაც 2014 წელს, პროფესორ მერაბ ბერიძის ინიციატივით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, მიიღო გადაწყვეტილება უნივერსიტეტის სტატუსის ამაღლების თაობაზე, ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან ერთად, ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა გახლდათ ერთ-ერთი საფუძველი ამ გადაწყვეტილების. შემდეგ პროგრამამ ფუნქციონირება შეწყვიტა, რადგან რეაკრედიტაციის დრო დადგა და ახალი პროგრამის აკრედიტაცია მოხდა აბსოლუტურად განსხვავებულ პირობებში. განსაკუთრებით კი მინდა ხაზი გავუსვა, რომ აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა აბასთუმნის ევგენი ხარაძის ასტროფიზიკურ ობსერვატორიასთან თანამშრომლობამ. შესაბამისად, ამ თანამშრომლობის შედეგად ჩვენ გვაქვს პროგრამა, რომელიც არის პირველი ჩვენს უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი და შესაძლებლობა გვექნება უცხოენოვანი კადრების და უცხოენოვანი დოქტორანტების ჩარიცხვის. მეორე – ეს არის პირველი პროგრამა, რომელიც ერთობლივად იქნება განხორციელებული, ეს არის ერთობლივი პროგრამა უნივერსიტეტისა და სეროიზული სამეცნიერო კვლევითი ცენტრისა. ასტრონომიის

პროგრამამ, თავის დროზე, ახალი ეტაპი შემოიტანა უნივერსიტეტში 2014 წელს, ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში, როდესაც სტატუსის ამაღლებას დაედო საფუძვლად და მეორე – ამ წელს ახალი ეტაპი შემოიტანა, ვინაიდან ის გახდა პირველი აკრედიტებული ინგლისურენოვანი პროგრამა და პირველი ერთობლივი პროგრამა, რომელსაც უნივერსიტეტი განახორციელებს.

ასევე, კვლევების პრიორიტეტად გამოცხადებას ხელი შეუწყო კიდევ ერთმა სადოქტორო პროგრამამ, რომელიც, ასევე, დიდი მნიშვნელობის მქონეა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ დავიწყეთ ვეტერინარიის 300 კრედიტიანი პროგრამის ამოქმედება. 2019 წელს წარვადგინეთ აკრედიტაციაზე და, შესაბამისად, დღეს უკვე მოქმედებს. როდესაც ჩვენ უცხოელი ექსპერტის დასკვნა წავიკითხეთ აკრედიტაციის შესახებ, ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ასეთი – უნივერსიტეტს უნდა ეზრუნა ახალგაზრდა კადრების გამოზრდაზე. ეს სერიოზული პრობლემაა დღეს ვეტერინარიის მიმართულებით და, შესაბამისად, მთელი საქართველოს მასშტაბით. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით, შეიქმნა ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა, რომელიც უკვე აკრედიტირებულია და ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ დოქტორანტთა პირველ მიღებაზე. ესეც საეტაპო მნიშვნელობის გახლავთ. ეს ჩვენს ინტეგრირებული პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, სწავლა გააგრძელონ და კარიერა დაგეგმონ ჩვენი უნივერსიტეტის ფარგლებში ეროვნული გამოცდებით, აბიტურიენტობიდან დაწყებული და დაასრულონ ვეტერინარიის დოქტორის ხარისხით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი მადლიერება მინდა გამოვთქვა აკადემიური პერსონალის მიმართ, რომელმაც არ დაზოგა თავი და საკმაოდ რთულ პირობებში მოამზადა პროგრამა. ასევე, მადლიერებას გამოვხატავ ყველა იმ პარტნიორი ორგანიზაციის მიმართ, რომელთაც გავაფორმეთ მემორანდუმი და შესაძლებლობა მოგვეცა, რომ მათთან პარტნიორობით განვახორციელოთ ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა. აღსანიშნავია ასევე, რომ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები შეხვდნენ ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს : საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს ალექსანდრე მარკაროვს, ფიზიკის ფაკულტეტის დეკანს რაფიკ ჰაკობიანს და არამ საჰარიანს. სამუშაო შეხვედრისას მხარეებმა გაუზიარეს ერთმანეთს ასტროფიზიკის მიმართულებით არსებული გამოცდილება. განიხილეს ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შექმნის საკითხი, რომლის განხორციელებისათვის გამოყენებული იქნება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა გარდა აბასთუმნისა და ბიურაკანის ობსერვატორიების სამეცნიერო რესურსი. სამუშაო შეხვედრას ორგანიზება გაუწია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების უფროსმა სპეციალისტმა გურანდა მოდებაძემ.

### **სწავლა-სწავლება - პროგრამების სრულყოფა-განვითარება**

ცაკლე აღნიშვნის ღირსია პროგრამების დახვეწის პროცესი, რაც მათ განვითარებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის ყველა სადოქტორო

პროგრამაში შეიცვალა მიღების წინაპირობა, ინგლისური ენა გახდა სავალდებულო, რაც, ვფიქრობთ წინგადადგმული ნაბიჯია. სადოქტორო პროგრამების წინაპირობების მიხედვით: „საქართველოს მოქალაქე დოქტორანტობის კანდიდატს, დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. კონკურსანტისთვის, რომელსაც არ ექნება წარმოდგენილი ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინიშნება გამოცდა ინგლისურ ენაში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა). გამოცდა ბარდება საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული დადებითი ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისურენოვანი პროგრამა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) გამოცდის ჩაბარება ან/და საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება (დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას დოქტორანტობის კანდიდატის მიერ მიღებული შედეგების გასაჩივრების წესსაც)“.

იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი თვითონვე ასაქმებს უსდ-ს კურსდამთავრებულებს ან ზოგიერთი დოქტორანტი უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტია, შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს.

აღნიშნული წესის მუხლი 3. მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები, მე-5 პუნქტის შესაბამისად საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების უცხო ენების პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების ჩასატარებლად შეიძლება მოწვეულ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, შესაბამისი უცხო ენის ცოდნის მაღალი კომპეტენცია, დარგობრივი ენების სწავლების გამოცდილება და/ან ტრენინგები/პუბლიკაციები/ კონფერენციები ენის სწავლების მეთოდოლოგიაში. სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებით საქმიანობაში მათმა ჩართვამ მნიშვნელოვნად გაზარდა უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს რამდენიმე დოქტორანტი, ამავე დროს, უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალია და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე უძღვებიან პრაქტიკულ/სემინარულ მეცადინეობებს. თითოეულ პროგრამის ხელმძღვანელს ცაუტარდა ინდივიდუალური კონსულტაცია.

### **აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობა**

ცალკე აღნიშვნის ღირსია 2022 წელს გამოცხადებული აკადემიური თანამდებობების კონკურსები. სამი ახალი აკადემიური პერსონალი შეემატა უნივერსიტეტს. სამივე ახალგაზრდა მეცნიერია. კონკურსის გამოცხადდა შემდეგ აკადემიურ თანამდებობებზე:

- სომხური ენა –ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე
- საჯარო სამართალი –ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე
- საჯარო მმართველობა –ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე

**მნიშვნელოვანია ტრენინგები პერსონალის პროფესიული გადამზადების კუთხით:**

14 თებერვალს, გაიმართა ვებინარი თემაზე: “სამეცნიერო მეტრიკის საკითხები – სამეცნიერო ნაშრომის ბიბლიოგრაფიის ფორმირება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების მოთხოვნების შესაბამისად”, ვებინარს ესწრებოდნენ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

ტრენინგ-ვორკშოპი თემაზე: ონლაინ სწავლების საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და პლათფორმები. ტრენინგს უძღვებოდნენ ამავე პროექტის ფარგლებში, ტალინის (ესტონეთი) ტექნოლოგიების უნივერსიტეტში გადამზადებული პერსონალი. ასევე, საინფორმაციო ტექნოლოგიებს სპეციალისტი, ხათუნა კვინცხაძე. ტრენინგს ესწრებოდა უნივერსიტეტის 37 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც გაეცვინენ ონლაინ სწავლების შემდეგ პლათფორმებს: Camtasia, Snagit, ThingLink, Infographic, Canva, MINDOMO, H5P, Miro, Edpuzzle. აკადემიური პერსონალის უკუკავშირის მიღების შემდეგ, გამოიკვეთა შეთავაზებულ პლათფორმებზე დიდი ინტერესი და სასწავლო კურსებში მისი დანერგვის სურვილი. დამსწრე პერსონალზე გაცემული იქნება შესაბამისი სერთიფიკატი.

### **სიახლე- კლასტერული აკრედიტაცია**

ეს ერთი მხარეა \_ უკვე აკრედიტებული პროგრამები. დარწმუნებული ვარ, რომ მეორე ეტაპი \_ წარდგენილი სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციაც წარმატებით ჩაივლის იმდენად, რამდენადაც უნივერსიტეტი ძალიან სერიოზული სიახლის\_ კლასტერული აკრედიტაციის პროცესშია. აგვისტოს თვეში, წარვადგინეთ ჰუმანიტარული მიმართულების პროგრამები კლასტერული აკრედიტაციისთვის. მოგეხსენებათ, რომ შეიცვალა მიდგომა პროგრამების აკრედიტაციისადმი. თუ ცალკე პროგრამები გადიოდა აკრედიტაციას, მაგალითად, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას შეეძლო ცალკე გაეგლო აკრედიტაცია ან წარდგენილიყო აკრედიტაციაზე და სამაგისტრო პროგრამას სხვა დროს ცალკე, ახალი რეფორმის ფარგლებში, ერთი დარგის პროგრამები გაერთიანებულად გაივლის აკრედიტაციას, რაც შემფასებელს და თავად უნივერსიტეტს, პირველ რიგში, სრულ სურათს მისცემს, საფეხურების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული დადებითი და, შესაბამისად, გარკვეული ყურადღებამისაქცევი საკითხებისადმი, რესურსების

შეფასების სწორ შესაძლებლობას მისცემს და, საერთოდ, დარგის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანის პერსპექტივებს ზუსტად დაინახავს. ამიტომ, ჩვენ სამი კლასტერი გვაქვს წარდგენილი – ისტორიის, ქართული და ინგლისური ფილოლოგია და აქედან ორ კლასტერში – ქართულ ფილოლოგიასა და ისტორიაში, ასევე, სადოქტორო პროგრამებია წარდგენილი. ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა აკრედიტებულია და რეაკრედიტაცია აქვს მას, ხოლო ისტორიის სადოქტორო პროგრამა ახლა გადის აკრედიტაციას. ფაქტობრივად, სამი პროგრამა სადოქტორო საფეხურზე აკრედიტებულია და ორი პროგრამის ფარგლებში ნოემბერში ველოდებით ექსპერტების ვიზიტს. ეს ადასტურებს უნივერსიტეტის გადაწყვეტილებას – პრიორიტეტად იქნას არჩეული, სწორედ, კვლევითი მიმართულება.

### **კვლევის ხელშემწყობა - Horizon Europe, საგრანტო დაფინანსება**

კიდევ ერთი, ძალიან სერიოზული ხელშემწყობი მექანიზმი აქვს პრიორიტეტად კვლევების გამოცხადებას. ეს არის, ზოგადად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკა, სერიოზულად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტებში კვლევით საქმიანობას. რა იგულისხმება ამაში. მოგეხსენებათ, რომ თითოეულ უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის ფარგლებში, რომელსაც, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიც ახორციელებდა, ჩვენს უნივერსიტეტში გაიხსნა Horizon Europe-ს (ჰორაიზონ ევროპა) ოფისი. ჩვენ გვყავს ოფისის ხელმძღვანელი. ოფისის ფარგლებში, ყოველდღიურ რეჟიმში, მიმდინარეობს საქმიანობა, რათა ჩვენმა დოქტორანტებმა, ჩვენმა პროფესორამ მაქსიმალურად ისარგებლონ იმ შესაძლებლობებით, რასაც კვლევებში აძლევს მათ Horizon Europe. ჩვენთვის აბსოლუტურად გასაგებია და გადაჭარბებულად არ ვაფასებთ საკუთარ შესაძლებლობებს. პირიქით, ვაცნობიერებთ, რომ ამ მიმართულებით ძალიან ბევრი გვჭირდება (ვგულისხმობ იმას, რომ პირდაპირ შესაძლებელია, Horizon Europe-ს გრანტი ვერ მოვიპოვოთ, მაგრამ ამ სისტემას აქვს თავისი ქვეკომპონენტები და ვფიქრობთ, რომ ქვეკომპონენტებში, ასევე გაწევრიანებული და გაერთიანებული კონსორციუმებად სხვადასხვა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩვენ სერიოზულად შევძლებთ, გარკვეულ საგრანტო კონკურსებში ჩვენი განაცხადი შევიტანოთ. მე გავაგრძელებ იმ ხაზს, რომელიც გულისხმობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერის მექანიზმებს და მოგახსენებთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის ოქტომბერში გამართული შეხვედრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომელიც ეხებოდა პროექტს ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის შესახებ. პროექტი მსოფლიო ბანკისგან ფინანსდება და ითვალისწინებს საუნივერსიტეტო სივრცეში სიახლეების – ინოვაციების, მათ შორის, კვლევაში დანერგვას. ნოემბერში გამოცხადდა სპეციალური გრანტი, რომლის ფარგლებშიც თითოეულ უნივერსიტეტს მიეცა შესაძლებლობა, გარკვეული დაფინანსება

მოიპოვოს პროექტის საფუძველზე, რომელიც შეიცავს ინოვაციას, რომელიც ინკლუზიურობით ხასიათდება ( ინკლუზიურობაში იგულისხმება ის, რომ არა მარტო საუნივერსიტეტო სივრცის, არამედ სხვადასხვა საუნივერსიტეტო გარეთა პარტნიორების ჩართულობითა და მათი მონაწილეობით განხორციელდება და რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხს. ამ მიმართულებით გამოცხადდება გრანტი და სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა ამ საგრანტო კონკურსში, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ვსაუბრობთ გრანტებზე, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა რთულია პროცესი. ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდანაც გვექნება გარკვეული მხარდაჭერა. ჩვენი გრანტი სახელმწიფო ენის მხარდაჭერის თემაზე, მომზადდა და წარდგა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონსში. მალე გავიგეთ პასუხიც, რომ **სჯსუ კვლევითი საგრანტო კონკურსის გამარჯვებული გახდა**. 2022 წლის სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობის სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის გამარჯვებულ ოთხ სამეცნიერო პროექტს შორის, ერთ-ერთი გამარჯვებული, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტი გახდა. დაფინანსდა პროექტი: „ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება ჯავახეთში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი“.

### **რეგულაციების დახვეწა**

**განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საუნივერსიტეტო რეგულაციების დახვეწას**, განახლდა ისეთი მნიშვნელოვანი რეგულაცია, როგორც არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონცეფცია (დამტკიცებულია სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №80 დადგენილებით "20" "12" 2020 წ.);

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფციის მიზანია, საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო კვლევის ორგანიზებისა და განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების, კვლევის განმახორციელებელი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების, კვლევის მიმართულების განსაზღვრა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების ზოგადი პოლიტიკის ჩამოყალიბება.

აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 4. კვლევის პრინციპები, პუნქტი 4.1 სამეცნიერო მოღვაწეობის თავისუფლება - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სამი ღირებულებიდან პირველი თავისუფლებაა, რაც კვლევითი საქმიანობისას სამეცნიერო მოღვაწეობის თავისუფლებაში ვლინდება. უნივერსიტეტი პრინციპად იღებს მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს, რომელიც მეცნიერის გარანტიებს ეხება და სადაც აღნიშნულია, რომ მეცნიერს უფლება აქვს:

❖ განახორციელოს მეცნიერული კვლევა-ძიება გარედან ნებისმიერი ჩარევის გარეშე და გამოქვეყნოს კვლევის შედეგები წინასწარი განწყობების გაუთვალისწინებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან კვლევები სახელმწიფო საიდუმლოს შემცველია;

❖ დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო გამოკვლევის შინაარსი, მეთოდები და საშუალებები. ხოლო მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, მოიცავს ინფორმაციას: ეთიკა სამეცნიერო სამყაროში კეთილსინდისიერი სამეცნიერო კვლევის მნიშვნელოვანი საყრდენია. თანამშრომლებსა და სტუდენტებს უნივერსიტეტი სახელმძღვანელო პრინციპებად უწესებს ეთიკის პრინციპების დაცვას, სადაც უპირველესი აკადემიური კეთილსინდისიერებაა, რაც პლაგიატის თავიდან აცილების საშუალებას წარმოადგენს. უნივერსიტეტში პლაგიატის წინააღმდეგ რეგულაციების მთავარი მიზანი ქმედითი პრევენციული ღონისძიებების გატარებაა. იგივე მუხლი მოიცავს ინფორმაციას: ა) ავტონომიის პრონციპების, ბ) სარგებლიანობისა და უვნებლობის პრინციპის და გ) სამართლიანობის პრონციპების შესახებ, ხოლო მუხლში 6. ეთიკის კომიტეტის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები, გაწრილია ეთიკის კომიტეტის მიზანი და ამოცანები, მუხლში 7. ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა, დანიშვნა და ფორმირების წესი, მუხლში 8. ეთიკის კომიტეტის მუშაობის წესი და სხვ. რაც ცალსახად ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების პრონციპების დაცვის მიზნით.

## საერთაშორისო პროექტები

პროექტებზე აქვე დავამატებთ კიდევ ერთს, ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო სიახლეს, რომელიც გულისხმობს ერასმუსის პროექტებში მონაწილეობას. ვფიქრობთ, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა სერიოზული კრიზისი შექმნა ყველა მიმართულებით, მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტი მონაწილეობს ორ გამარჯვებულ პროექტში. მინდა, პროექტის კოორდინატორს მივულოცო. თავისთავად, პროგრამები ერთი უკვე არსებული პროექტის გაგრძელებაა, რომელიც აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას, რომელიც საუნივერსიტეტო სივრცეში, სწორედ, კვლევების გაძლიერებას და კვლევის ხარისხს ეხება და მეორე უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც ვეტერინარიის კუთხით ევროკავშირმა დააფინანსა და ჩვენ ვართ ერთ-ერთი პარტნიორი ამ პროექტის. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ერთ ერთ მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. ამ მიმართულების როლი მას შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, რაც საშუალება მიეცა პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს უფრო აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სახის აქტივობებში საზღვარგარეთ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, როგორც ინსტიტუციური განვითარების (CBHE),

აგრეთვე, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობა (ICM). უნივერსიტეტში განხორციელებულია Tempus-ის და ერასმუსის პროექტები. ამჯერად მიმდინარეობს ერასმუს+-ის ოთხი ინსტიტუციური განვითარების პროექტისა და საერთაშორისო მობილობის ხუთი პროექტის განხორციელება.

გარდა ერასმუს+ გაცვლითი პროგრამისა უნივერსიტეტში მოქმედებს მემორანდუმის ფარგლებში გაცვლა, რომელიც ხორციელდება პოლონეთის „ლოძის უნივერსიტეტთან“. გაცვლითი პროგრამა „პირდაპირი მობილობით“ უკვე ისარგებლა ათეულმა სტუდენტმა. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლონეთის რესპუბლიკის ლოძის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე. შერჩეული კანდიდატები სწავლის საფასურს მასპინძელ უნივერსიტეტში არ იხდიან. სწავლა გრძელდება ერთი სემესტრის განმავლობაში. კანდიდატების შერჩევა მიმდინარეობს წინასწარ დაგეგმილი კონკურსის შესაბამისად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფაკულტეტის სტუდენტს, ვინც ფლობს ინგლისურ ენას. გაგრძელდა თურქულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა მევლანას გაცვლითი პროგრამით.

#### **საერთაშორისო მობილობა აკადემიური პერსონალისთვის:**

- 2022 წლის KA 107 Erasmus+ გამოცხადებაზე მოვიპოვეთ დაფინანსება (ICM) სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის. მათ ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით ლოძის უნივერსიტეტი (პოლონეთი). მობილობით ისარგებლა უნივერსიტეტის ერთმა აკადემიურმა პერსონალმა.
- ასევე 2022 წლის 8-14 მაისს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის პროგრამის მოწვეული პროფესორი – ინგა ლუტიძე ერასმუს+ საერთაშორისო მობილობით იმყოფებოდა რუმინეთის ქალაქ იაშის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტში. იგი ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ქართული ზმნის, საქართველოს ეთნოლინგვისტური მოზაიკის და ასევე ფაკულტეტის თხოვნით ქართული ლიტერატურის შესახებ. ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინული ენის განვითარებაში შეტანილი წვლილის გამო დიდი იყო ინტერესი ქართული ფილოლოგიის შესახებ. იაშის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელის ალინა მალანსიუკის ორგანიზებით შედგა შეხვედრები, უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროგრამის დეკანთან, პროფესორებთან და ერასმუს + გაცვლითი პროგრამის სტუდენტებთან და მონაწილე პროფესორებთან
- 25-29 აპრილს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ისტორიის



პროგრამის პროფესორი – როინ ყავრელიშვილი ერასმუს+ საერთაშორისო მობილობით იმყოფებოდა სლოვაკეთის ქალაქ რუჟომბეროკის კათოლიკურ უნივერსიტეტში. იგი ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა მიმართულებით მათ შორის „ბოლშევიკი ლიდერების როლი კავკასიის გასაბჭოების საქმეში მათი მიმოწერის მიხედვით“ „ანკარის მთავრობის პოზიცია ამიერკავკასიის გასაბჭოებისას“ (თურქული დოკუმენტების მიხედვით). ლექციები ძალიან საინტერესოდ კითხვა პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. რუჟომბეროკის კათოლიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსის მარტინ პინკოჟის ორგანიზებით განხორციელდა შეხვედრები, უნივერსიტეტის ისტორიის პროგრამის დეკანთან, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან და ერასმუს + გაცვლითი პროგრამის სტუდენტებთან და მონაწილე პროფესორებთან

**2022 წლის უმთავრესი მოვლენა - უნივერსიტეტში აფხაზური ცენტრი გაიხსნა იყო.** 26 დეკემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, აფხაზური ცენტრის „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ გახსნის ღონისძიებას უმასპინძლა.

ცენტრის გახსნის ორგანიზატორი ა. ა.(ი).პ ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოება „ერთობა ხვალისთვის“ და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტია. ცენტრი ახალგაზრდულია. აქვს საკმაოდ ამბიციური და შორსმხედველი გეგმები. ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ ხელს ახალგაზრდების კარგ ინიციატივას.

### **ახალი სტიპენდიები სტუდენტებისთვის**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქველმოქმედო მისიით ეწვია, თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდი. კერძოდ, თამაზ ბექაია ფონდის დამაარსებელი, ლევან ბექაია ფონდის დირექტორი, გოგა ჩანადირი პროექტების ხელმძღვანელი და მარიამ ცანდიშვილი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

გასული წლის მარტის თვეში ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა, თამაზ ბექაიამ შექმნა საგანმანათლებლო ფონდი, რომელიც ითვალისწინებს მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნას. გასულ წელს ხუთი უნივერსიტეტის 16 სტუდენტს დაუნიშნეს სტიპენდია, მიმდინარე წელს კი მათ რიგებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის, აგრონომიისა და ვეტერინარიის სპეციალობის სამი სტუდენტი დაემატება, რომელთაც დაენიშნება სტიპენდია თითოეულს სამასი ლარის ოდენობით. აღნიშნულ ქველმოქმედებასთან დაკავშირებით ბევრი სამადლობელი ითქვა მასპინძელთა მხრიდან და დაპირება სტუდენტების მხრიდან, რომ ეს იქნება შესანიშნავი მოტივაცია, კარგად რომ ისწავლონ და აქტიურად ჩაერთონ სტუდენტურ ცხოვრებაში. ღონისძიების დასასრულს, ფონდის დირექტორმა ლევან ბექაიამ და

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მაკა ბერიძემ ხელი მოეწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

### **სტუდენტთა მომსახურება**

დაიხვეწა და სიახლეები შევიდა სტუდენტთა მომსახურების კუთხით საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. 2022 წლის 21 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მაკა ბერიძემ საზეიმოდ გახსნა „ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი“, რომელიც შეიქმნა ერაზმუს+ ინსტიტუციონალური განვითარების პროექტის E-PSY ფარგლებში. ცენტრის საშუალებით სტუდენტები მიიღებენ ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და დახმარებას მათი მოთხოვნის შესაბამისად. ცენტრი უზრუნველყოფს არა მხოლოდ სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, არამედ უფრო ფართო აუდიტორიის ინფორმირებულობას ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და კონსულტაციის მნიშვნელობის შესახებ. საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრის გახსნას წინ უძღოდა სამუსაო ვიზიტი პოლონეთში. 2022 წლის 23-27 მაისს E-PSY („ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრების გახსნა სტუდენტებისათვის“) პროექტის ფარგლებში, პოლონეთში, ბიდგომშის ეკონომიკურ უნივერსიტეტში (WSG) განხორციელდა პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების სამუსაო ვიზიტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შეხვედრაში მონაწილეობდა საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების უფროსი სპეციალისტი, პროექტის მენეჯერი გურანდა მოდებაძე და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი – როინ თათეშვილი. ცხრა ქართული უნივერსიტეტის დელეგაციას თან ახლდა განათლების მინისტრის მოადგილე ქალბატონი ნუნუ მიცკევიჩი და პროექტის ავტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ინდირა მაგანია. მასპინძელ უნივერსიტეტში შეხვედრებს ურგანიზება გაუწია ირენა კუდლინსკამ. ვიზიტის მთავარი მიზანი საერთაშორისო პარტნიორის გამოცდილების გაზიარება იყო. პროექტის წევრებმა რობერტო ლაუკსმა, ევა კაინიევსკამ და მაგდანელა ბერგმანმა სტუმრებს დეტალურად დაათვალიერებინეს სამედიცინო და სოციალური სერვისების ცენტრები, სხვადასხვა სახის სენსორული ოთახები გააცნეს მათი ინფრასტრუქტურას და მუშაობის პრინციპს. იასეკ გოსპოდარსკიმ წარმოადგინა სიმულაციის უახლესი დანადგარები ფსიქოლოგიური დემენციის მკონე ადამიანებისათვის. დელეგაციის წევრები შეხვდნენ, ბიდგომშის უნივერსიტეტის პრეზიდენტს კრისტორფ სიკორას და ვიცრე რექტორს საერთაშორისო მიმართულებით მარზენა სობცზაკ-მიჩალოვსკას. აგრეთვე ადგილობრივ თვითმართველობის წარმომადგენლებს.

**2022 წელს განსაკუთრებული და გამორჩეული მოვლენების გარეშე არ ჩაუვლია:**

## ელჩების ვიზიტები უნივერსიტეტში

- ✓ 29 აპრილს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა ავსტრიის ელჩი საქართველოში ბატონი თომას მიულმანი. ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიხსნა „ავსტრიის კუთხე“. შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა საჯარო სკოლის წარმომადგენლები, რესურს ცენტრების ხელმძღვანელები, სტუდენტები და მოსწავლეები, რომლებიც ეუფლებიან გერმანულ ენას. უნივერსიტეტში შეხვედრის შემდეგ ელჩი დაესწრო ახალციხის ციხის საგამოფენო დარბაზში გამოფენას, რომელიც მიეძღვნა მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ქალის – ბერტა ფონ ზუტნერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.
- ✓ 25 ოქტომბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი – კელი დეგნანი ესტუმრა. ვიზიტის მიზანი იყო ელჩის შეხვედრა სტუდენტებთან. ჩვენთვის ძალიან საამაყოა, რომ ამერიკის საელჩო ინტენსიურად თანამშრომლობს განათლების მიმართულებით, ახორციელებს არაერთ საინტერესო პროექტს, რომელშიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიც აქტიურად არის ჩართული. განსაკუთრებით კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ სჯსუს აქვს ამერიკათმცოდნეობის პროგრამა.

## საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები სჯსუსში

- ✓ 9-10 დეკემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ონომასტიკის თანამედროვე პრობლემები“. საქართველოს გარდა კონფერენციაში მონაწილეობდნენ გერმანიის, უკრაინის, თურქეთის, საბერძნეთის, ყაზახეთის წარმომადგენლები. კონფერენცია გაიმართა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, ათენის ქართველოლოგიური ცენტრის, დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიისა და კავკასიის ეთნო(სოციო)ლინგვისტური ასოციაციის თანაორგანიზატორობით. კონფერენციაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ონომასტიკური პრობლემა დაისვა როგორც ქვეყნის, ისე სამცხე-ჯავახეთის მასშტაბით.
- ✓ 6 და 7 ივნისს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აბსთუმნის ობსერვატორიაში გაიმართა ფართო მასშტაბის შემაჯამებელი ღონისძიება პროექტის „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბავშვთა უფლებების ცენტრის ცოდნის დაფუძნება ინკლუზიური და ბავშვთა უფლებებზე ორიენტირებული ცოდნის, დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის

დასანერგად” ფარგლებში, სადაც მონაწილეობდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF წარმომადგენელი საქართველოში დასან ხალილი, UNICEF-ის განათლების პროგრამების ხელმძღვანელი მაკო ყუფარაძე და ბავშვის უფლებათა ცოდნის ცენტრების წარმომადგენლები საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

- ✓ შეხვედრაზე უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა შეაჯამეს უსდებში ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები მასწავლებლების, სკოლის დირექტორების და სკოლის მოსწავლეების მომზადება/გადამზადების მიმართებით – სხვადასხვა მოდულების შესაბამისად, რომელიც მომზადდა უნივერსიტეტების ბავშვთა უფლების ცენტრებში, ასევე ანალიზი გაუკეთდა საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებისათვის მომზადებულ კურიკულუმებს, სადაც ჩაემენა ახალი კურსები, აქცენტები გაკეთდა სხვა მრავალფეროვან აქტივობებსა და სტრატეგიებზე.

### წლის გამორჩეული მოვლენები

- ✓ „წლის საუკეთესო მიღწევის“ აღიარება: 2022 წლის 13 დეკემბერს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარდა 2022 წლის „წლის საუკეთესო მიღწევის“ გამოსავლენად წარდგენილი საკონკურსო თემის „ვეტერინარის მიმართულებით SQIL პროექტთან თანამშრომლობა – მიღწევები და პერსპექტივა“ პრეზენტაცია (ავტორები, პროფესორები ლევან მაკარაძე, ლაშა ავალიანი, ნინო მილაშვილი), რომელიც აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო მიღწევად. პრეზენტაციის მასალები განთავსდება ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ელექტრონულ ჟურნალში.
- ✓ ამერიკელი პროფესორების საჯარო ლექციები სჯსუში: მედია განათლების პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებული იყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ამერიკელი პროფესორების საჯარო ლექციები და მასტერკლასები ჟურნალისტიკით დაინტერესებული სტუდენტებისა და პროფესორებისათვის. უნივერსიტეტს სტუმრობდნენ: დენის მეტსონი – ჩიკაგოს დეპოლის უნივერსიტეტის პროფესორი, მედიაგანათლების პროგრამის (MEP) დირექტორი ლორა ტრენდლ პოლუსი, ილინოისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, TV-10 News დირექტორი სტივ ჰანტი, ილინოისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კომუნიკაციის სკოლის აღმასრულებელი დირექტორი ნათან კარპენტერი, ილინოისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კონვერგენტული მედიის დირექტორი.

ამით არ დამთავრებულა უნივერსიტეტში ამერიკელი მეცნიერების ჩართულობა. საერთაშორისო გამოცდილება ქართული მედიაგანათლებისთვის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1-10 ივნისის ჩათვლით მონაწილეობდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ და ამერიკის საელჩოს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული მედიაგანათლების პროექტის ფარგლებში – საერთაშორისო გამოცდილება ქართული მედიაგანათლებისთვის ჩატრებულ საჯარო ლექციებს, რომელიც მიზნად ისახავდა ექვსი რეგიონალური უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ლექციების კურსს თემატიკაზე:

1. რეგიონული მედიის კონტენტის თავისებურება და მისი წარმოება (რა პროცენტული მაჩვენებლით უნდა იყოს კონტენტი ადგილობრივი ამბებით გაჯერებული; რა სახის ადგილობრივი კონტენტი უნდა წარმოებდეს მაყურებლის მოსაზიდად; ჟურნალისტიკის ახალი ჟანრები და ფორმები; ლონგრიდი, სთორითელიგი, პოდკასტი, მათი წარმოება და სპეციფიკა).

2. სამუშაო პროცესის დაგეგმარება და თანამედროვე ნიუსრუმის მუშაობის პრინციპები რეგიონული მედიის თავისებურების გათვალისწინებით (ლოკალური მედიასტაფი ხშირად მცირერიცხოვანი ჯგუფისგან შედგება. როგორ ხდება ამ პირობებში მოვალეობების გადანაწილება და დაგეგმარება; როგორ მუშაობს თანამედროვე ნიუსრუმი და როგორ მუშაობს ის რეგიონულ პირობებში; როგორია აუდიტორიასთან მუშაობის სპეციფიკა ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით).

3. მედიაკონტენტის ქსელებში განთავსების მნიშვნელობა სოციალურ მედიაში (სოციალური მედიის შესაძლებლობები და ინოვაციური როლი ცნობადობის ამაღლებაში; კონტენტის წარმოების მნიშვნელობა; კონტენტის ძირითადი სახეობების კლასიფიკაცია და მათი სწორი გადანაწილება ქსელში).

4. სოციალურ ქსელში აუდიტორიის მოზიდვის ხერხები და ტექნიკები (სამიზნე აუდიტორიისგათვალისწინების მნიშვნელობა კონტენტის სხვადასხვა პლატფორმაზე განთავსებისთვის; მედიაკონტენტის პოპულარიზაციის შესაძლებლობები სოციალურ ქსელებში; საქართველოში პოპულარული ვებ-გვერდების (Facebook, Instagram) მუშაობის სპეციფიკა; რა ხერხები არსებობს აუდიტორიის ჩართულობის გასაზრდელად).

სპიკერები: კევინ ლაითფუტი – ახალი ამბების დირექტორის თანაშემწე WCBS-TV — CBS-TV ნიუ იორკი. მას აქვს თითქმის 20 წლიანი ჟურნალისტიკისა და საინფორმაციო სამსახურის ლიდერის გამოცდილება. ის გახლდათ KTRK-ის აღმასრულებელი პროდიუსერი, ABC-TV (ჰიუსტონი), სადაც ხელმძღვანელობდა რამდენიმე ყველაზე რეიტინგულ საინფორმაციო გამოშვებას ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. მუშაობდა აგრეთვე აღმასრულებელ პროდიუსერად WESH-ში ორლანდოში და WAPT-ში ჯექსონში (მისისიპი). გახლავთ Emmy-ს პრიზიორი. კევინი იყო სკოლის NABJ-ის განყოფილების აღმასრულებელი საბჭოს წევრი. მას შემდეგ ის მსახურობდა NABJ-ის ჯექსონის, მისისიპის განყოფილების პრეზიდენტად, ბოლო დროს კი ჰიუსტონის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტად. კევინი აწარმოებდა NABJ-ის Salute to Excellence

Awards შოუს სამი წლის განმავლობაში. დებრა ალფარონი – სატელევიზიო ახალი ამბების კორესპონდენტი/წამყვანი CBS News-სა და Newspath-ში, მთავარი მომხსენებელი და მედია ტრენერი Debra Alfarone Media-ში. გახლავთ ედვარდ რ. მიუროუ და Emmy-ს ჯილდოს მფლობელი. სკოტ დოლი – Emmy-ს ჯილდოს მფლობელი ჟურნალისტი, სატელევიზიო ამბებში მუშაობის 14 წლიანი გამოცდილებით, მათ შორის, როგორც აღმასრულებელი პროდიუსერი (ჩიკაგოს) Tribune Broadcasting-ში, FOX News-სა და TalkLab-ში და როგორც მწერალი და პროდიუსერი NBC5-TV-ში ჩიკაგოში. ადრიენ ბალოუ – მუშაობს როგორც ჟურნალისტი და პროდიუსერი ყველა ახალი ამბების საინფორმაციო გამოშვებაზე ჩიკაგოს წამყვან მედიებში. მან მოიპოვა მრავალი ემის ნომინაცია და იყო ემის WGN Morning News გამარჯვებული დიდი ხნის მანძილზე. ის არის საინფორმაციო სამსახურის მენეჯერი და უფროსი თანამშრომელი. ადრიენი ასევე მუშაობდა WFLD-TV-სა და CLTV-ში ჩიკაგოში და WPTV-TV-ში დასავლეთ პალმ ბიჩში (ფლორიდა). მან დაიწყო თავისი კარიერა WPTV-ში, როგორც დილის შოუს პროდიუსერმა. შექმნა და მრავალი წლის მანძილზე მართავდა NBC Morning News-ს.

- ✓ ვეტერინარიის სტუდენტებმა კონკურსში გაიმარჯვეს: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის მიმართულების სტუდენტებმა ქრისტინე ლეკიშვილმა და გიორგი ნათენაძემ გაიმარჯვეს ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში – SQIL“ მიერ ვეტერინარია-მეცხოველეობის მიმართულებით გამოცხადებულ 10 დღიან (1-10 აგვისტო) პრაქტიკის კონკურსში.

## მესამე მისიის ფარგლებში

უკრაინის მხარდასაჭერად სისხლის დონაცია სჯსუში: 7 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და ინიციატივით გაიმართა უკრაინის მხარდასაჭერად სისხლის უანგარო დონაცია. დონაციის პროცესი “სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურთან” თანამშრომლობით განხორციელდა. აქციას მხარდამჭერები არიან ორგანიზაცია “ძალა ერთიანი მომავლისთვის” და სჯსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა. სასწავლებლის ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. დონაციას შემოუერთდნენ ქალაქის მცხოვრებლები.